საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი

მესტიისა და ზემო სვანეთის
მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი)

ქართული სოფლის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება-განვითარების მართლმადიდებლური გააზრება

თეზისები

ბიბლიური სიბრძნე გვასწავლის[1]:
1. „გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე“ (ფსალმ. 103, 23);
2. „აღმოაცენებ ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას – ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისაგან“ (ფსალმ. 103, 14);
3. „ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ (ფსალმ. 143, 13).

წმიდა წერილი ადამიანის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის თეოლოგიური და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველია, რომლის მიხედვითაც თანდათან განვითარდა ქრისტიანული ეკონომიკური აზროვნება და პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობა[2].

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სრული პროცესი და უფლისმიერი კურთხევა არის გადმოცემული იგავში ხორბლისა და ღვარძლის შესახებ (მათ. 13,24-30).

---

1. ბიბლიური ციტატები მოტანილია წიგნიდან: ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბ., 1989.
2. თეოლოგიური ეკონომიკის შესახებ ვრცლად იხილეთ წიგნში: მღვდ. ბასილ ახვლედიანი, გ. შიხაშვილი, ნ. ბაკაშვილი. მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბ., 2009.

სასოფლო-სამეურნეო სფეროს მეცნიერული კვლევებისა და სათანადო პრაქტიკული გზების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წმინდანების ცხოვრებასა და შემოქმედებაში ასახული სამეურნეო-მმართველობითი საკითხების შესწავლას.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებათა ობიექტური კვლევის შედეგად წმ. ილია მართალმა საზოგადოების უპირველესი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად სოფლის მეურნეობა და, კერძოდ, მიწათმოქმედება აღიარა, რადგან ხედავდა, რომ „ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მოწათმოქმედებაა ჩვენში“[3].

დიდი სჯულის კანონში ფართოდ არის ასახული სამეურნეო-მმართველობითი, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ხასიათის თემატიკა, რომელიც ფრიად აქტუალურია როგორც საერო, ასევე საეკლესიო საზოგადოებისათვის და მათი სინერგიული განვითარებისათვის. მაგალითად, საეკლესიო ქონების/შემოსავლის მართვა-განკარგვა ეპისკოპოსს მნიშვნელოვან მოვალეობად და იერარქიულ უფლებამოსილებად აქვს დაწესებული: – ყოველი ეპისკოპოსი „იმას უნდა აკეთებდეს, რაც სასარგებლოა მისი ეკლესიისთვის და მისთვის დაქვემდებარებული სოფლებისათვის“ (წმ. მოც. კან., მუხლ. 34) და „თითოეული ეკლესიის კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილისა და სოფლის შემოსავალი მტკიცედ და უცვლელად უნდა ჰქონდეს ამ ეკლესიის მპყრობელ ეპისკოპოსს“ (ქალკედ. IV მსოფლ. კრებ. კან., მუხლ. 17).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში ქართული სოფლების აღორძინებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. მაგალითად, 2008 წლის სააღდგომო ეპისტოლეში პატ-

3. ჭავჭავაძე ი. კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი. თხზ., ტ. 7, თბ., 1956. გვ. 40.

მი, ქართული სოფელი, კოოპერატივი) შექმნას, სადაც კიბუცებისაგან განსხვავებით, ერთობლივი საქმიანობა ქართულ სარწმუნოებრივ-სამეურნეო ცხოვრების წესებს დაეყრდნობა.

ზემო სვანეთის წამყვანი სასოფლოსამეურნეო საქმიანობებია: მეცხოველეობა, მეკარტოფილეობა, თივის შეგროვება, მეხილეობა, მეფუტკრეობა. რეგიონის სოფლის მეურნეობას აქვს როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური განვითარების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული და გამოუყენებელი სასოფლოსამეურნეო სავარგულების პრივატიზაციის გზით ჩართვას სასოფლოსამეურნეო წარმოების პროცესში.

ზემო სვანეთში მეცხოველეობის პროგრესული განვითარებისათვის აუცილებელია: ახალი ჯიშების გაჩენა და სასელექციო საქმიანობის წარმართვა, სათიბსაძოვრებთან მისასვლელი გზების აღდგენარეაბილიტაცია, საძოვრების ათვისება, დაბალპროდუქტიული სასოფლოსამეურნეო სავარგულების (სახნავი, სათიბი) მცირე დროში გაკულტურება და მაღალპროდუქტიულად ქცევა.

მესტიის მუნიციპალიტეტში არ არის მსხვილი ფერმერული მეურნეობები, ფერმერთა ასოციაციები, კოოპერატივები და სხვა გაერთიანებები. **ამ მხრივ, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, მათ შორის, ქრისტიანული თემების დაფუძნება-განვითარება.**

ზემო სვანეთის გრძელვადიანი სასოფლო-სამეურნეო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებას და გარემოსთვის უსაფრთხო წარმოების განსავითარებლად საჭირო პირობების შექმნას.

მნიშვნელოვანია, რომ ზემო სვანეთში განვითარდეს მასობრივი ტურიზმი თანამედროვე ფორმებით (მათ შორის – სასოფლო-საოჯახო, ეკოლოგიური და სამომლოცველო ტურიზმი). სოფლის ტურიზმი ითვალისწინებს ტურისტების მიღებას სოფელში, უშუალოდ ოჯახებში. ამ შემთხვევაში ტურისტებს ეძლევათ შესაძლებლობა, უფრო მეტი გაიგონ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესის შესახებ, გაეცნონ ბუნების ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერონ ისტორიულ-კულტურულ-ეთნოგრაფიული და რელიგიური ძეგლები, მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ ცხოვრებაში.

ზემო სვანეთში სოფლის მეურნეობისა და სასოფლო-საოჯახო ტურიზმის განვითარება ურთირეთსტიმულირებას მოახდენს ცალკეული მათგანის პროგრესზე. შედეგად, მოიმატებს დასაქმების მაჩვენებელი, ადგილობრივ მოსახლეობას გაუჩნდება და გაეზრდება შემოსავალი, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა სოციალურ-ეკონომიკურ დონეს.

ქართული სოფლის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება-განვითარების საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია, ზოგადად, საეკლესიო ეკონომიკისა და კერძოდ, საეკლესიო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდებით, ყველა ეპარქიაში, ცალკეულ ტაძრებთან და მონასტრებთან უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები. თავისი მატერიალურ-ფინანსური ბაზის გაძლიერების მეშვეობით, საქართველოს ეკლესია სრულად დაიკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფს მრევლს სამუშაოთი და შემოსავლებით. ამასთან, შეიტანს დიდ წვლილს საქართველოში მცირე, საშუალო და აგრარული ბიზნესის განვითარებაში და მნიშვნე-

ლოვანი სახელმწიფოებრივი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მიღწევაში.

ამ მიზნით აუცილებელია მართლმადიდებლური მოძღვრების, საერო მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოება, ფუნდამენტური კვლევებისა და შესაბამისი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

თანამედროვე საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სამეურნეო საქმიანობის და, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სინერგიულლი განვითარება საერო და საეკლესიო სფეროებში, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას. სახელმწიფოს და ეკლესიის ეკონომიკური სიძლიერე განაპირობებს ერის სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას.

რიარქმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ხელისუფლებამ გააატაროს ქმედითი ღონისძიებები, რათა „ჩვენი სოფლის მეურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდეს, რაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრ ბერკეტადაც იქცეს“. 2009 წლის საშობაო ეპისტოლეში პატრიარქი ამბობს: „საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. ის მდგომარეობა, რაც ამ კულტურების მიმართ დღეს არის, დამღუპველია, როგორც სულიერი, ისე მატერიალური თვალსაზრისით... ჩვენთან ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაც“.

ქართული სოფელი და სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოში დღეისათვის უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია, რაც, თავის მხრივ, იწვევს კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიულ-მიგრაციული პრობლემების გამწვავებას. ასეთი გარემოება კი ერის მომავალს კატასტროფით ემუქრება.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში პრიორიტეტული როლი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ დარგებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იქნება 2013 წლის 12 ივლისს მიღებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის დებულებათა პრაქტიკული განხორციელება. **სახელდობრ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, მეცნიერთა და სპეციალისტთა აზრით, ქართული სოფლის სიძლიერის აღორძინების საქმეში დიდი შედეგების მოტანა შეუძლია საქართველოს სათანადო რეგიონებში ებრაული კიბუცების ანალოგიური სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების (ქრისტიანული თე-**